საქართველოს კანონი

„მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №8-9, 21.02.1998, გვ. 8) მე-3 მუხლის 3^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3^1. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გათვალისწინებული საკუთრების ჩამორთმევისთვის გადახდილი ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი მოსაკრებლისგან. დაუშვებელია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გათვალისწინებული საკუთრების ჩამორთმევისთვის გადახდილ ანაზღაურებაზე რაიმე სახის მოსაკრებლის დაწესება, შემოღება და გადახდევინება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

29 ივნისი 2018 წ.

N2763-IIს